ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობა
მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
ადმინისტრაციული სამსახური

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის
ბრძანება № 01
2021 წლის 12 ივლისი
დაბა მესტია

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო მოქმედი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონის მე-60-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-15 მუხლის, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და „საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 12/07/2021 წლის № 133-02 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1.1 შეიქმნას მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა შესარჩევი, საკონკურსო კომისია ვაკანტური თანამდებობის - სოცაილური დაცვის სამსახურის - სოციალური, ჯანმრთელობის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების, მე-IV რანგის I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში ბავშვის ფსიქოლოგის(ვაკანსია N64936) სპეციფიკიდან გამომდინარე შემდეგი შემადგენლობით:

1.2 **ნავერიანი თეიმურაზ - საკონკურსო კომისიის თავჯდომარის მოადგილე:** მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი;

1.3 **ქალდანი გულნარა - კომისიის წევრი:** ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;

1.4 **ჯაფარიძე ნაირა - კომისიის წევრი:** მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის, II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების, მე-III რანგის I კატეგორიის უფროსი სპაციალისტი;

1.5 **სოფიო ჩხვიმიანი - კომისიის წევრი:** მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი;

1.6 კონკურსის საჯაროობის უზრუნველყოფა დაევალოს - მერიის ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების III რანგის III კატეგორიის უფროს სპეციალისტს - **ჯაფარიძე ლაშას.**

1.7 ბრძანების შესახებ ეცნობოთ კომისიის წევრებს;

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი

ქეთევან ხარძიანი

მის: დ.მესტია სეტის მოედანი N1
ელ. ფოსტა: gamgeobamestia@yahoo.com

ვებგვერდი: www.mestia.gov.ge
ტელ: 591 05 92 38